წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

კვირა 7 მაისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:

წლი-რად.	15 მან.
ნახევარი წლით	8 მან.
თვიურათ	1 მან. და 50 კ.

ცალკე ნომერი შვიდი კაპ.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:

პირველ გვერდზე პეტიტით ღირს	25 კ.
უკანასკნელ გვერდზე	15 კ.

ქალაქ გარედან [illegible] განცხადება ღირს ერთი ორათ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] ნაშუადღევს

[illegible] 2 საათ.	5 მ.
2 საათის შემდეგ	6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს.

№ 23 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 23

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბედური დედა ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჯაფარიძისა, ბიძები დიმიტრი და დავით ალექსანდრეს ძენი ნაზაროვები ცოლ-შვილებითურთ, რძალი ელენე ბესარიონის ასული ჯაფარიძისა შვილებითურთ და დეიდა პოლინე ალექსანდრეს ასული ნაზაროვი, განუსაზღვრელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ მათის ძვირფასის

ვიქტორ ილარიონის ძის ჯაფარიძის

უდროვოთ გარდაცვალებას. ცხედარის გამოსვენება ბინიდან, (ბალახვანის ქუჩა, ბაქრაძის სახლი) საფირჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავად, მოხდება სამშაბათს 9 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე განსვენებულის ბინაზე.

ექიმი ვახტანგ, ძმები: ქსენოფონტე, მიხეილ და დავით, მეუღლე ვანდა და რძალი პელაგია ლამბაშიძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთა, რომ ძვირფას და დაუვიწყარ დედის

ოლღა ნიკოლოზის ასულის ლამბაშიძის

გარდაცვალების ნახევარი წლისთავის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქნება კვირას, 7 მაისს, დაბა ყვირილის, წმ. ნინოს ეკლესიაზედ.

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზედ.

ქუთაისის საურთიერთო ხდობის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების გამგეობა აცნობებს ბბ. წევრებს, რომ წევრთა წლიური საზოგადო კრება, რომელიც დანიშნული იყო 30 აპრილს 1917 წ. არ შესდგა. ამის გამო გამგეობა აცხადებს, თანახმად წესდების 16 მუხლისა, რომ მეორე კრება დანიშნულია 7 მაისს 1917 წ. დილის 10 საათზე გამგეობის სადგომში, თფილისის ქუჩაზე სამსონ ბოკერიას სახლში და ჩაითვლება კანონიერათ მიუხედავათ გამოცხადებულ წევრების რაოდენობისა. გაირჩევა შემდეგი კითხვები:

1. 1916 წლ. წლიური ანგარიში.
2. 1917 წლის ხარჯთა აღრიცხვა.
3. გამგეობის წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
4. ზედამხედველი კომიტეტის ერთი წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
5. სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 4 მაისიდან ფრიად საყურადღებო პროგრამა

1-ლი სერია 1-ლი სერია

ღამის ქალიშვილი (ავაზაკობის ქარიშხალში)

დრამა ბოროტმოქმედთა ცხოვრებიდან 5 ნაწილად ცნობილ მსახიობის ემილის სანნომის მონაწილეობით. **კონცერტი ვერ გამოდგა კარგი!** სახუმარო

ანონსი: ორშაბათიდან, 8 მაისიდან **ავაზაკობის ქარიშხალში** მე-2 სერია ემილიო სანნომის მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 4 მაისიდან სენსაციური პროგრამა

სიკვდილის ამბორი

ავანტიურისტ ქალის გმირობა. ფრიდა ბორნისა და სხვა საუკეთესო მსახიობთა მონაწ. 1. მახე დაგებულია; 2. სიყვარული და ცბიერება; 3. მთავრის ჰიპნოზით შეპყრობილი. 4. უსაზღვრო გატაცება. **ქალის სამოსელში** სახუმარო ფარსი

ანონსი: ორშაბათიდან, 8 მაისიდან საუცხოვო პროგრამა **სიკვდილის ცეკვა** ფსიხოლ. დრამა 5 ნაწილად ბ-ნ მოზჟუხინის მონაწ.

ყურადღება! ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ვისაც სურს სამუდამოთ განთავისუფლდეს ქარებისაგან (რევმატიზმისაგან) და ყოველგვარ კანის ავათმყოფობისაგან ურჩევთ მიაშუროს ძმ. წულუკიძეების

გოგირდის აბანოს

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაში, რომლის მუშაობა

განახლდა

პირველ აპრილიდან. აბანოსთან არის სუფთა ოთახები ავათმყოფებისათვის და სუფთა თეთრი ქვის ვანები; იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

აბანოს გამგე **ივანე სოხაძე.**

დღეს:

წერილები:

ტრ. ჯაფარიძე—ორი მტერი.
კავკასიის მთიელთა ყრილობა.
ინ-ბანი—ექიმთა კავშირი.
გორგი—კიდევ ვიმეორებ.
ი. იმერელი—სულის სიცალიერე.
ს. ყ—ნი—საკვირაო საუბარი.

ცნობები:

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ზავის გარშემო. რუსეთი. როდის გათავდება ომი? სამხედრო ბეგარა და ავადმყოფობა. ეროვნული კითხვა. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო. ვანის სამღვდელოების კრება. ახალი ამბავი.

ქ. ქუთაისის მცხოვრებთა საყურადღებოთ.

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ამიერიდან მწვანე ბაზარში ყოფილ კურჩაბაშევის შენობაში იქნება გახსნილი ქალაქის საყასბო, სადაც როგორც მსხვილი ოთხფეხის აგრეთვე ხბოს ხორცი გაიყიდება დაწესებულ ნიხრის მიხედვით 50 კ. გირვანქა.

ქუთაისის საგუბერნიო

სასურსათო კომიტეტი ამით

აცხადებს, რომ კვირას, 7 მაისს, 12 საათზე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქ. ქუთაისის სარაიონო სასურსათო კომიტეტების წევრთა საერთო კრება ქალაქის სასურსათო კომიტეტის წევრთა ასარჩევათ. 2—1

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვების,

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

შაბათს, 6 და კვირას, 7 მაისს გაიმართება დიდი სადღესასწაულო წარმოდგენები გამოჩენილ მსახიობთა მონაწ. დიდი მრავალ ფეროვანი პროგრამა. გასტროლები მსოფლიო საკვირველების 10 წლის ქალის სხვისი აზრების გამომცნობ ქ-ნ

ლიუციანი,

რომელსაც დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი; მისი ფენომენალურ ნიჭით მთელი ქვეყანაა დაინტერესებული.

4 ეშმაკად

წოდებული მფრინავ ადამიანების უკანასკნელი გასტროლები. დღეს ბ-ნ აფანასიევის მიერ გაწვრთნილ ცხენების დივირტისმენტია. ამას გარდა მონაწილეობენ მოჯირითენი გიმნასტები ეკვილიბრისტები, ექსცენტრიკები და ოხუნჯები.

ბავშვებო!

წარმოდგენა თქვენთვის გაიმართება კვირას, დილის 1 საათზე. ფასები 25 კაპ. 150-მდე. საღამოს წარმოდგენების სრული პროგრამა ოხუნჯთა შეჯიბრება!

ორი მტერი.

სწორედ უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილა ჩვენი სამშობლო!

თუმცა მრავალი ღირსებით შემკულია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ ერთი მხრით ამას აუმხედრებია მტრები, რომელნიც ყოველმხრივ შემოსევიან და განადგურებას უპირებენ.

მთელი ისტორია ცხადათ მოწმობს, რომ შურით აღვსილი მტრები საქართველოს არ ეშვებიან. მტრებთან დაუსრულებელი ბრძოლა თავისთავათ სატანჯველია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მტრებიც არის და მტრებიც. ჩვენი მტრები მეტათ დაბალი სულის მატარებელნი არიან და მათთან ბრძოლა სწორედ აუტანელია.

საუბედუროთ ულირს მტრებთან გვიხდებოდა ბრძოლა უწინაც და ასე გვიხდება დღესაც.

ავიღოთ უნდა დღევანდელი შემთხვევა მაგალითად **აჭარა.**

ვინ არ იცის დღეს, რომ აჭარა ქართველი ერის აკვანია, ვინ არ იცის რომ აჭარლები საქართველოს ღვიძლი შვილები არიან? გადმოიარა ერთმა ისტორიულმა ქარტეხილმა, მიმოაბნია აჭარაში თესლი გადაგვარებისა, დაამყარა უცხოთა ბატონობა და ამით მიეცა მტერს სახელდახელო ნიადაგი საქართველოს საწინააღმდეგო პოლიტიკა ეწარმოებინა. რუსეთის ძველი მთავრობა, რომელსაც საუბედუროთ ჩაუვარდა ხელში საქართველო, მუდამ იმას ამტკიცებდა, რომ აჭარელი მაჰმადიანები ქართველები არ არიან, იქ ქართულ კულტურას ადგილი არა აქვსო და ყოველ ზომას ხმარობდა, რომ საქართველოსთვის. აჭარა სავსებით მოეწყვიტა. ამ უმგზავსო პოლიტიკის თვალსაზრისით მთელი გეგმა იყო შედგენილი, რომ ქართულ ენას, ზნეჩვეულებას, წესწყობილებას და ყოველგვარ კავშირს აჭარაში ნიადაგი გააქარწყლებოდა. ამ უკუღმართ პოლიტიკას ემსახურებოდენ იქ მთავრობის მოხელეები ყოველ სფეროში და ყოველ დაწესებულებაში. ასეთმა მართვა-გამგეობამ შეაჩერა აჭარის განვითარება, ჩამოაშორა აჭარა საქართველოს მაგრამ ქართული სული აჭარელთა შორის ვერ მოსპო. აჭარაში დღესაც დაცულია ჩვეულებანი უწინდელი ისტორიული ხანისა, ქართული ენა და ის რწმენა, რომ აჭარლები წინათ ქართველები იყვნენ.

დღეს, როდესაც ისტორიულმა მოვლენამ განაახლა რუსეთი და დატყვევებულ საქართველოსაც თავისუფლების სხივი მოაშუქა, გარემოება შეიცვალა.

დღეს საქართველოშიც აენთო ფერფლში მიმალული ეროვნების ნაპერწკალი.

დღეს თავის თავად დაიბადა ავტონომიის საკითხი და საზღვრების შემოხაზვაც აუცილებელი შეიქნა.

რევოლუციამ გაასწორა წარსული ბოროტებით ჩადენილი შეცდომა და საქართველოს გაერთიანება თავის ისტორიულ საზღვრებში ცხადათ გვიკარნახა.

აი სწორეთ ამ ახალმა ამბავმა აამოძრავა მტრები.

როგორც გავიგეთ, ამ ჟამათ აჭარაში ორი მტერი მუშაობს ერთი ჩაჯდომია ყურში აჭარლებს და ჩასჩურჩულებს, რომ თქვენ მაჰმადიანები ხართ, ქართველებს ერიდეთ, თორემ, ისინი გაგაქრისტიანებენო; ამასთანავე ბოროტი გულით ნაფიქრალს ტკბილი ენით ეუბნება, თათრებს შეუერთდით და ამით სულიც იხსენით და ხორციცო.

მეორე მტერს სხვა გზა აურჩევია, ის მთავრობის წინაშე გულზე ხელებ დაკრეფილი აცხადებს, რომ აჭარლები სახელმწიფოს ღალატობენ, იარაღს იმზადებენ და რუსეთის ჯარს შეუტაკებას უპირებენო. ამ ბოროტ სულს უნდა აჭარაში სისხლის ღვრა გამოიწვიოს და ამით საქართველოს წარმატებას ხელი შეუშალოს.

აი რა საშუალებას ეძებენ ჩვენი მტრები, რომ საქმე წაგვიხდინონ, აჭარლებიც დაღუპონ და საქართველოც დაამახინჯონ.

პირველი მტერი სარგებლობს აჭარელ მაჰმადიანთა ფანატიკოსობით, მეორე კი მთავრობის გაუგებრობით.

ყოველ შემთხვევაში ჩვენდა საზარალოთ მომართულ გზაზე მტრები ერთათ შეიყარენ და სამწუხარო მომავალს გვიმზადებენ.

საჭიროა, მტრის მოქმედებას საჩქარო პასუხი გავსცეთ. ამ საქმეში უნდა შეერთდეს ჩვენი კულტურულ დაწესებულებათა კავშირი და პოლიტიკური წრეებიც. მთელი ერის სახელით მთელი მოქმედი. ჯგუფი მივიდეს და გვერდში მოუდგეს აჭარლებს. სიტყვით და საქმით დაუახლოვდეს, დინჯი, გულწრფელი და ნაყოფიერი მოქმედებით ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი აჭარლებს სარკეში ჩაახედებს, და ისინი თვითონ დაინახავენ ყველაფერს. ეს სარკე მალე აგრძნობინებს მათ, რომ ისინი ჩვენი მოძმენი არიან და ჩვენთან ერთათ ახალ ცხოვრებას უნდა შეუდგენ. დღევანდელმა ჩვენმა მოქმედებამ აჭარლებს უნდა მათი წარსული უნდა მოაგონოს, მათი ქართული სახე უნდა გაახსენოს. ყოველი ჩვენი მოღვაწე: მასწავლებელი, მეურნე, პუბლიცისტი, მოხელე, მოგზაური, მკვლევარი ერთნაირად უნდა ემსახურებოდეს აჭარლებში ეროვნული იდეის განმტკიცებას. ამას მოითხოვს ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაც და თანამედროვე მომენტიც.

დღესვე საჭიროა შესდგეს მთელი ჯგუფი აჭარაში სამოქმედოთ და მეზობლური კავშირის გასამაგრებლათ.

ეს საშუალება სავსებით გააქარწყლებს პირველი მტრის წადილს, რომ აჭარაში ქართველთა ეროვნული საკითხი დაასამარა. რაც შეეხება მეორე მტერს, პროვოკაციის გზით მოსიარულეს, მას დარაჯობა სჭირია; ეს დარაჯობაც ჩვენ უნდა ვიკისროთ და როგორ მოვაწყოთ, ეს ჩვენ კულტურულ დაწესებულებათა და პოლიტიკურ წრეთა წარმომადგენლების კრებაზე გადავწყვიტოთ.

ჩემის აზრით, აჭარის დღევანდელი მდგომარეობა მორიგ საკითხად უნდა დავაყენოთ და შეერთებული ძალებით მოვაწესრიგოთ ინიციატივა საეთნოგრაფიო და საქველმოქმედო საზოგადოებას ეკუთვნის და მათ მიუწოდონ სხვა წრეებსაც.

ტრიფონ ჯაფარიძე.

კავკასიის მთიელთა ყრილობა.

ჯერ სანამ ბაქოში მაჰმადიანთა საერთო ყრილობა შესდგებოდა, კავკასიის მთიელებს უკვე დაარსებული ჰქონდათ საერთო აღმასრულებელი კომიტეტი. ბაქოს ყრილობამ დაადგინა შედგენა ამიერკავკასიისათვისაც ასეთივე კომიტეტისა და შემდგომ ამისა კი სრულიად კავკასიის მაჰმადიანთა საერთო ბიუროსი.

კავკასიის მთიელთა ახალი მმართველობა—კავკავის აღმასრულებელი კომიტეტი, თავის გარშემო იკრებს კავკასიონის ჩრდილო კალთებზე დასახლებულ თითქმის ყველა ერებს. დაღესტანი, ოსეთი, საჩეჩნო, ყაბარდო ავარეთი, საინგუშო და ყველა დანარჩენნი მთიელნი ამ საერთო მმართველობაში შედიან.

აღსანიშნავია, რომ მთიელებმა თავისუფლების პირველს დღეებშივე შესძლეს ურთიერთ შორის სრული ერთსულოვნობისა და თანხმობის დამყარება. მათ შექმნეს ცენტრალური ორგანო და

და ამის შემდგომ დიდის ღირსებითა და მხნეობით ანახლებენ თავის ეროვნულ ცხოვრებას.

კავკასიის მთიელთა ასეთი ეროვნული თანხმობა და ერთობა მისაბაძი მაგალითია რუსეთის სხვა ერებისათვის. თუ რუსეთის ძველი მთავრობისათვის ჩვენი მთიელი მეზობელნი სრულიად უკულტურო და ველურ ხალხად იყო მიჩნეული, რევოლიუციის პირველმა დღეებმა საკმაოდ გამოაშკარავა, რომ ეს ერები რუსეთის ზოგიერთ ერებზე უკეთ არიან მომზადებულნი თავისუფლების განსახორციელებლად და წესიერი მოქალაქობრივი ცხოვრების დასამყარებლად.

ჩვენ მეზობელ მთიელებს თავისუფლებისათვის მრავალი მსხვერპლი გაუღიათ. მათ კარგათ იციან მისი ფასი და რაკი დღეს მათ თავისუფალი ცხოვრების საშუალება ეძლევათ, ამას აწ არასოდეს არ დასთმობენ.

თავისუფალ რუსეთში ჩვენი მეზობელი მთიელნი ავტონომიური ცხოვრებით მოეწყობიან. კავკასიონის ერებს აერთებს ისტორიული განვითარების პირობები, რასიული, თვისებები, ზნე და ჩვეულება. ფაქტიურად ისინი აქედანვე ახორციელებენ შინაურ ცხოვრებაში ავტონომიას და ეს ფრიად მწყობრად და მშვიდობიანად მიმდინარეობს. ყველა თავისუფლების მოტრფიალე ჩვენი მეზობლების ასეთს მისწრაფებებს სრული თანაგრძნობით უნდა ხვდებოდეს. ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულის თანაგრძნობით შეხვდება მთიელ მეზობელთა თავისუფალ თვით-გამორკვევას. ქართველი ერი სხვისი თავისუფლების მტერი და ორგული აროდეს არ ყოფილა. ქართველი ერი დაინტერესებულია, რომ ყველა მისი მეზობლების სამართლიანი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იქნეს და ყველა მათ მიეცეს თავისუფალი განვითარების საშუალება.

კავკასიის მთიელების მიმართ ქართველი ერი მხოლოდ ამ კეთილს მეზობლურს განწყობილებას განიცდის. მთიელ მეზობლებთან მას არც ეხლა აქვს და არც მომავალში ექნება რაიმე სადავო და გადასაჭრელი კითხვები.

1 მაისს კავკავში გაიხსნა მთიელთა ყველა ერების წარმომადგენელთა ყრილობა. ამ ყრილობის მუშაობის საგანს შეადგენს რევოლუციის მიერ წამოყენებული საკითხები და მთიულთა შინაური ცხოვრების ორგანიზაცია თავისუფლების ნიადაგზე. ყრილობას დაესწრო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი და შესაფერისი მისალმებით მიმართა მას. თუ რამდენათ თანაუგრძნობენ ჩვენს ეროვნულს მისწრაფებებს ჩვენი მთიელი მეზობლები და თუ როგორი კეთილ მეზობლური განწყობილების დაჭერა სურთ მათ ჩვენთან, ამის საუკეთესო გამომხატველად ჩაითვლება ის აუწერელი აღფრთოვანება, რომელიც გამოუწვევია ყრილობაზე ქართველი ერის ხსენება.

„საქ.“

ექიმთა კავშირი.

რევოლიუციურ ქარცეცხლის დროს რაიმე შემოქმედებითი ნაბიჯის გადადგმა მეტად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასეთ დროს ყოველი ადამიანის ფიქრი, გრძნობა თუ ნება მეტ-წილად პოლიტიკური საკითხებით არის დატვირთული. თუ ამისდა მიუხედავად, ჩვენში მაინც გამოჩნდნენ ისეთი პირები თუ საზოგადოებანი, რომელნიც ქვეყნის უპირველეს მოთხოვნილებათაც არ ივიწყებენ, სიხარულის მეტი არა გამოგვეთქმის რა.

გუშინდელ ჩვენი გაზეთის ახალ ამბებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ქუთაისში მთელი გუბერნიის ექიმთა კრება მოხდა, რომელმაც ექიმთა პროფესიონალური კავშირი დაარსა. თუ არ ვსცდებით ასეთი კავშირი პირველად არსდება ქუთაისში. ამ კავშირს უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ცხოვრებაში. ყველას ეცოდინება, რა რიგ გაჭივრებულსა და უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ხალხის საექიმო დახმარების კითხვა. ექიმთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა, მაგრამ მათი შეუკავშირებლობა მეტად აფერხებდა მკურნაობის საქმეს. შეიძლება ქალაქს არ აკლდა ექიმის დახმარება, მაგრამ სოფლები, დაბები, მაზრები და განაპირა კუთხეები საშინელ მდგომარეობაში არიან ამ მხრით.

ყოველგვარი სნეულებანი, სახადი, ციებცხელება, ფილტვებისა და კუჭის და სხვა ავათმყოფობა დიდს საფრთხეში აგდებს ჩვენი ერის არსებობას. ამას განსაკუთრებული ყურადღება ეჭირვება. ამ მიზანს კი ჩვენის აზრით ცალ-ცალკე პირები, კერძო ექიმები, რაგინდ მაღალი ცოდნა შესწვედით საგნისა, ვერ განახორციელებენ. სულ სხვა საქმეა კავშირი. ორგანიზაცია მოქმედებას სისტემატიურ ხასიათს აძლევს და მისს შედეგს ამრავალკეცებს.

ჩვენი მხარე დიდს იმედებს უნდა ამყარებდეს ექიმთა ამ კავშირზე. ამათი ვალია სოფელში დიდი შრომა გასწიონ და ცრუ, მორწმუნეობის ნასახიც კი არ დასტოვონ იქ, რადგანაც ღარიბელი ხალხი იხოცება ექიმბაშ—მკითხავთა მეოხებით, რომლებიც სამუდამოდ უნდა აღაგმოს ექიმთა კავშირმა.

შრომა და ჯაფა დიდი მოელის ამ საზოგადოებას. სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ერის ეს მხნე, დაუზარებელი და მოსაქმე ნაწილი სათანადო ნაყოფს გამოიღებს თვისი სიმპატიური დაწესებულების მოქმედებით. ექიმთა საზოგადოების წარმომადგენელთა ყოველგვარ კომიტეტებში და დაწესებულებებში შესვლა ყოვლად აუცილებელია.

ჩვენი სალამი და გამარჯვების სურვილი ამ კავშირს და მისს სულის ჩამდგმელთ.

ინ—ხანი.

კიდევ ვიმეორებ.

(სადღეისო.)

საუკუნოების განმავლობაში რუსის ხალხი იმყოფება ორ გვარ მონობაში: პოლიტიკურსა და ეკონომიურში. ორივე ნაირი მონობა დიდი უსამართლობაა... ორივე ნაირი მონობა მძიმე ლოდათ თავს აწევს რუსეთს და, მაშასადამე, ორივენაირი მონობისაგან განთავისუფლება უსაჭიროესი რამ არის მისი ზრდა-განვითარებისთვის.

არიან ქვეყნები, სადაც ხალხმა პოლიტიკური მონობიდან კიდეც გაითავისუფლა თავი, მაგრამ ეკონომიური მონობისათვის ჯერ კაცობრიობის სულ მცირე ნაწილსაც კი ვერ დაუხწევია თავი.

პოლიტიკური თავისუფლების მოპოებით ხალხის მდგომარეობა დიდათ უმჯობესდება; სადაც პოლიტიკური მონობა აღარ არსებობს, იქ ხალხი მთელი თავისი ენერგიით ებრძვის ეკონომიურ მონობას.

იქ, სადაც ადამიანის პიროვნება შებოჭილია, იქ, სადაც არ არსებობს პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, სადაც ხალხს წართმევია სიტყვის, კრების ბეჭდის, კავშირების თავისუფლება; იქ, სადაც არის ძლიერი და უძლური, ბატონი და ყმა, — იქ ხალხი ნამდვილი მონაა, იქ ხალხი გონებრივად დაჩლუნგებულია და რაღა გასაკვირველია, თუ ამისთანა ხალხში ერთი აკეთებდეს და ათი კი ახდენდეს, რაღა გასაკვირველია, თუ ამისთანა ხალხში მომხდარ მოძრაობის სასურველად დაგვირგვინებას ხელს უშლიდეს ისევ ამ ხალხის შვილები, ზოგი შეგნებულად და ზოგიც შეუგნებლად.

რუსეთის ხალხი საუკუნოების განმავლობაში ითმენდა ყოველგვარ შეურაცხყოფას, სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდა ერთი მუჭა ბატონების ბრძანებას, ის ხედავდა ათსგვარ მტარვალობას ათასგვარ უსამართლობას... ხედავდა და ითმენდა... ითმენდა, მაგრამ მოთმინებასაც ბოლო მოეღო და დღეს ჩვენ რუსეთის დიდი რევოლუციის მოწამენი გავხდით.

დღეს რუსეთში რევოლუციაა. მრავალ-ტანჯულ რუსის ხალხს სურს თავი დააღწიოს პოლიტიკურ მონობას, მას სურს თავისუფლად ამოისუნთქოს, მას სურს თავისი ძალები თავისუფლად გაავითაროს. ეჭვი არაა, რომ ამგვარ მის სურვილს, როგორც ყველგან და ყოველთვის, წინ გადაეღობებიან რევოლუციის დაუძინებელი მტრები...

რევოლუციის დაუძინებელ და ყველაზედ უფრო საშიშარ მტრად მე მიმაჩნია ის გონებრივი სიჩლუნგე, ის მოუმზადებლობა, რასაც აქვს სამწუხაროდ ადგილი დღეს რუსეთის ხალხის ცხოვრებაში.

მოუმზადებლობა, მომენტის შეუგნებლობა ახასიათებს დღეს ჩვენს ქალაქებსა და განსაკუთრებით სოფლებსაც.

სოფლად დღეს გაიგონებთ იმისთანა რამეს, სოფელში დღეს აქვს ადგილი იმ-გვარ მოქმედებას, რაც მჭერმეტყველურად ლაპარაკობს სოფლის შეუგნებლობაზე, მოუმზადებლობაზე.

სოფელში დღეს ასს კაცში ერთს ვერ იპოვით, რომელსაც ესმოდეს არა თუ იმ პარტიის მოძღვრება-მიმართულება, რომელსაც ის არ ეკუთვნის, მას არა გაეგება რა იმ პარტიისაც, რომელსაც ის სრულიად შეუგნებლად აკუთნებს თავის თავს. გაბრძანდით, ბატონებო, სოფლად, მოიხმეთ ვინც გნებოსთ, დაელაპარაკეთ და დარწმუნდებით ჩემი ნათქვამის სრულ სიმართლეში.

ამ გარემოებას პარტიებმა დღესვე უნდა გაუწიონ ანგარიში, დღესვე უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება.

სოფელში დღეს საჭიროა გაორკეცებული მუშაობა, არ კმარა ორ-სამ თვეში მისვლა რომელიმე პარტიის პროპაგანდისტისა და ამ უკანასკნელის მჭერმეტყველება. პროპაგანდისტი, თუ ის რიგიანად მომზადებული არ არის და ხალხის სიყვარული არ ამოძრავებს, ზიანს უფრო მიუტანს სოფელს, ვიდრე სარგებლობას. სოფელს არა აქვს ცოდნა სოფელს არ ესმის დღევანდელი დიადი წუთის მნიშვნელობა, სოფელს ვერ გაურჩევია რომელი გზაა მისთვის სასარგებლო და რომელი საზიანო. პროპაგანდისტი ძლიერ მომზადებულიც რომ იყოს, წელიწადში ერთხელ ან ორხელ მისვლით და მრავალრიცხოვან კრებაზე ლაპარაკით, ცოდნას ვერ შეიტანს სოფლის მასაში.

ბევრი რამე აქვს სოფელს შესაგნებშესასწავლი, ბევრ რამეშია სოფელი დასარწმუნებელი!..

სოფელმა უნდა შეიგნოს, რომ ჩვენში არ არსებობს იმ გვარი პარტია, რომელსაც მიზნად არ დაესახოს მშრომელი ხალხის ბედნიერება, მისი ცხოვრების გაუმჯობესება;

სოფელმა უნდა შეიგნოს, რომ ჩვენში არ არსებობს იმ-გვარი პარტია, რომელიც რუსეთიდან გამოყოფას ქადაგებდეს;

სოფელმა უნდა შეიგნოს, რომ ჩვენში არ არსებობს იმ-გვარი პარტია, რომელიც ბატონ-ყმობის აღდგენას ხელს უწყობდეს;

სოფელმა უნდა გაიგოს ყველა პარტიის პროგრამის შინაარსი, სოფელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა პარტიების მოსმენაა მისთვის საჭირო, თუ სურს ისეთი გზა აირჩიოს, რომელიც მისთვის ხელსაყრელია.

კერძო პიროვნება შესაძლოა შესცდეს მაგრამ, ხალხი, თუ მას საქმის ვითარებას განუმარტავენ, არ შესცდება.

ამისათვის, კიდევ ვიმეორებ იმას, რაც მე ამას წინათ ერთს ჩემს წერილში ვსთქვი: საჭიროა დღესვე სოფლად შეგნებული პირების მუშაობა, საჭიროა სოფელში ცოდნის შეტანა ხალხის გასაგებ ენით ლექციების კითხვა, საკვირაო სკოლების გახსნა, გაზეთების გავრცელება, ჯგუფური მეცადინობა და სხ. ყველა ეს შეაგნებინებს სოფლის ხალხს დღევანდელი დიადი მომენტის მნიშვნელობას და მისცემს საშუალებას შეგნებულად მიეკედლოს იმ პარტიას, რომელიც მისთვის უფრო სასარგებლოა.

ამ-გვარი მუშაობა საჭიროა ახლავე დავიწყოთ; ეს მუშაობა, ჩემის ღრმა რწმენით, სოფელს გამოაფხიზლებს და გამოფხიზლებული სოფელი ხომ რევოლუციის სასურველ მიმდინარეობას ხელს შეუწყობს; ამას გარდა, რაც უმთავრესია, ამ გვარი მუშაობა მოგვცემს საშუალებას რომ ვემზადოთ და დამფუძნებელ კრებაზე ქართველი ხალხიც თავისი ნამდვილი სახით გამოცხადდეს...

გორკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

ჩვენი თავი
ჩვენვე უნდა
გვეკუთნოდეს.
ილია.

ჩვენ ისე არასდროს დაგვჭირვებია ეს, ქართულ ცხოვრებისთვის ჩამოსხმული, სიტყვები როგორც დღეს. ქართველი ერის როგორც ასეთი, დღეს მეტად გული, შემზარავ სახით სდგას. ქართველი ერი ისტორიულ-პოლიტიკურ ცხოვრების დროს მსხვერპლად და ზვარაკად ეწირებოდა სამშობლოს თავისუფლებას.

ველურ საუკუნეში იარაღით იცავდა თავის თვითმდგომარეობას დღეს კი რას ვხედავთ? სურათს გულის მოშკვლელს. ქართველთ თავის თავი მივიწყებიათ. ქართველი თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ აღარ იბრძვის. მშრომელი ხალხი, დამცველი ყოველი ერის თავისუფლებისა, ჩვენში საქართველოს თავისუფლებას არ თხოულობს. რათ მოხდა ასე? ნუ თუ 1801 წლიდან ჩვენ სამუდამოდ დავკარგეთ თვითმოყვარეობა და საკუთარყოფის წადილი? ნუ თუ 2,000 წლის მუდმივმა ბრძოლამ დაამთავრა ქართველი ხალხის ეროვნული სიცოცხლე? ქართველი კაცი დღესაც წინანდებურად შეუდრეკელი, გამბედავი, ნიჭიერი ყველგან სახელს იხვეჭს, სხვის ჭრილობებს მალამოდ ედება, თავის ენერგიით ყველას ანცვიფრებს. მაგრამ ჩვენ საკუთარ თავს ამით რა? საქართველო საზღვარ შემორღვეულია, კულტურა შერყვნილი, ენა დამცირებული, ხალხი გაღატაკებული. ქართველ ქალსა თუ კაცს ერთ საუკუნეზე მეტია რაც, თავის ქვეყნისთვის არ მიუხედავს. შეგვერყვნა ქართველური აღმაფრენა... აღარ გვაქვს ქართული პოლიტიკა, არ გვესმის ჩვენი მოვალეობა, არ გვაინტერესებს ქართული საქმე, არ გვაქვს ქართული კითხვა. ქართულ ცხოვრებას ყოველ გვარად ვამახინჯებთ, ყოველ დაწყებულებას სხვის ბეჭედით ვიწყებთ. ჩვენ წინ მოხდა და ხდება დიდი ამბები.

ვისაც თავის ჭკუა არ აქვს და მდგომარეობის მიხედვით არ იქცევა კლდეზე იჩეხება. ყოველივე ეს ჩვენზე ვერ ახდენს გავლენას. სხვა ეროვნებათა სულთ-შემხუთავი თვითმპყრობელობა აღარ არსებობს. ამით ყველა დიდათ სარგებლობს და სრულის მიზანშეწონით მოქმედებს. ქართველ ერს განუზრახავს განზე გადგეს და თავისი „მე“ არ ახსენოს. მერე ამით ვის დაუმტკიცებთ სიკეთეს და ერთგულებას? არავის.

რუსეთის ყველა ერი იღწვის შინაურ თავისუფლების მოსაპოებლად. ყველა გაიჩაღებს ჩამქრალ კერას, ყველა აღიდგენს ეროვნულ ცხოვრებას.

საკვირაო საუბარი.

კაცია ადამიანი?!

მკითხველო, გონებასა სწამს და გულსა სჯერა, რომ შენც ჩემსავით გიხარია, როცა გაზეთებში სათაურებს ამოიკითხავ: „ზავის გარშემო“, „მოსალოდნელი ზავი“, „ზავის პირობები“. და როგორ გასახარელი არაა, რომ მთელი ევროპა, აგერ სამი წელიწადი შესრულდება, რაც ცეცხლის ალშია გახვეული, ამ ცოტა ხანში ამერიკაც მხარზე თოფს გაიდებს და აზიას ხომ, კაი ხანია, სანახევროდ ომის სახმილში უდგია ფეხი. როგორ სასიხარულო არაა, როცა ასეთი ცეცხლის წარღვნის დროს ზავისა და მშვიდობის ამბავს ხანდახან მაინც მოკრავ ყურს!

მაგრამ, — ოხ, ღმერთო, დიდება შენს ძლიერებას! ახალი ქვეყნის კაცობრიობა მთლად შეიშალა, ჭკუაზე შესცდა და მისს განკურნებას ისეთივე სასწაულთმოქმედი ეჭირება, როგორიც ორი ათასი წლის წინეთ ბიწიერებით, ცოდვით, უზნეობით და გახრწნილებით შეპყრობილს ძველ ქვეყანას განგებამ მესიის სახით მოუვლინა...

მართლაც გავიხარეთ, ძლიერ გავიხარეთ, როცა ასეთი მესიის ხმა რამოდენიმე თვის წინეთ ამერიკიდან მოგვესმა:

მისმა რჩეულმა შვილმა, შტატების პრეზიდენტმა, ვილსონმა, მშვიდობის ემბლემა — ზეთის ხილის რტო — მიაწოდა სისხლის მღვრელს სახელმწიფოებს, ზავის შეკვრაზე მიუთითა და ერთა გათავისუფლება უკარნახა. ეს წინადადება ამას ნიშნავდა: გეყოფათ, რაც ჯან-საღი ადამიანების უმანკო სისხლი დაჰღვარეთ, იყოფინეთ, რაც ცეცხლი და თაკარა ერთმანეთს თავზე დააყარეთ; ახლა მაინც შეინანეთ, რათა შემდეგისათვის ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება ჩამოვარდესო.

სწორედ ამ სამშვიდობო წინადადებაში დავინახე ხმა კაცთმოყვარე მესიისა, ხმა ძმობა-ერთობისა. ხმა ერთა თავისუფლების განმტკიცებისა. და ჩემმა ფანტაზიამ ფრთა გაშალა და ოცნების სამეფოში გადამიყვანა. ოცნებაც არ მეგონა და ვსთქვი:

თავისუფალი ქვეყნის, დიდი ერის ასეთი შვილის წინადადებას სისხლის ღვრით დაქანცული სახელმწიფოები უთუოდ ყურს ათხოვებენ, და რაც ჩაიდინეს მართლა შეინანებენ მეთქი; შემდეგ შერიგებისა, მთელი ქვეყნიერების ფსიხოლოგია გამოიცვლება, ერთმანეთის ჭამიობა მოისპობა, ხალხის გამანადგურებელი იარაღები გაქრება, მხედრები მშვიდობიან მოქალაქეებათ იქცევიან და ძალის მაგიერ, ყოველ საერთაშორისო სადაო საქმეს სამართალი გადაჭრის მეთქი.

წარმოიდგინე მთელი დედა-მიწის ბურთი ერთ მშვენიერ თაიგულად, რომელიც ყოველნაირი ყვავილით არის აჭრელებული და აფერადებული და მისი მრავალფერობა თვალსა და ყნოსვას ხიბლავს; წარმოიდგინე, რომ დედა-მიწის ზურგზე ყოველს დიდსა და პატარა ერს ექნება შეძლება თავისუფლად განავითაროს შემოქმედება, განავითაროს თვისი პოტენციალური, ბუნებისაგან მინიჭებული ძალები და ასე განვითარებულ ძალთა მონაგარი საკაცობრიო სალაროში შეიტანოს.

შესადარებლად თვალწინ დაგისახე ორი თაიგული: ერთი მხოლოდ ვარდის ყვავილთა შეკონილი, მეორე — ათასნაირი სხვა და სხვა მრავალფეროვანი ყვავილებისაგან შემკული.

ვარდი, როგორც ყვავილი, და ვარდის თაიგული კარგი რამაა, მაგრამ ჩემი გრძნობა და გონება, ჩემი სიმპატია მეორე თაიგულმა მიიპყრო და სწორედ ეს მეორე თაიგული ვირჩიე და შენც, მკითხველო, მჯერა, რომ აგრეთვე იქმოდი!

ასეთ თაიგულად წარმოვიდგინე დედამიწის ბურთი და მასზე ბუნებისაგან გაჩენილი ერთა სიმრავლე და აგებულება. ვერ შევურიგდი ისეთ სანახაობას, რომ მხოლოდ გერმანელთა, გინდ ფრანგთა გრძნობა გონების ყვავილმა მთელი ევროპის ერთა გრძნობა-გონების კოკობ ყვავილებს თავს გადაეპარტყნოს და მოაშთოს, ვერ შევაჩვიე თვალი ისეთ სურათს, რომ ლაღი და თავისუფალი შვეიცარია იტალიეთმა, გერმანეთმა და საფრანგეთმა თავის არსებობაში გაადნოს; ვერ წარმოვიდგინე, რომ რუსეთის უზარმაზარ სამფლობელოში რუსთა დიდად გაშლილი ყვავილი ისე გაფართოვდეს, რომ პოლონეთის, ლიტვის, ფინეთის, უკრაინის და მასთან ჩემი საყვარელი სამშობლოს, მშვენიერი საქართველოს, და სხვათა პატარა, მაგრამ ბრწყინვალე ყვავილები დაჩრდილოს და დააჭკნოს.

პირიქით, სრულიად წინააღმდეგ სურათის შესაძლებლობა მიუცილებელ ჭეშმარიტებათ მომეჩვენა:

წარმომიდგა რომ სულ მცირე პატარა ერიც თავისუფალი ხდება და იგი თავისს თავისუფლებას იარაღით არ იცავს, მას ისე აქვს იარაღი აყრილი, როგორც დიდ ერს.

ყველას თავ-თავის ტერიტორია აქვს მიზომილი მისი ისტორიისა და სოციალეკონომიური საჭიროების მიხედვით და, თუ ოდესმე საზღვრებისა, ალებ-მიცემობისა, ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ რამე გაუგებრობა, გინა გულძვირობა და დავა ასტყდება, მათი მომრიგებელი და მსაჯული ეგრედ-წოდებული — არბიტრაჟი იქნება და, თუ მომჩივან-მოპასუხეთა რომელიმე მხარე არბიტრაჟი გადაწყვეტილებას ნებაყოფლობით არ დაემორჩილება, მაშინ არბიტრაჟის განკარგულებაში მყოფი ძალები აიძულებს სამართლიან განჩინებას დაემორჩილოს მოწინააღმდეგე მხარე.

როცა ასეთი სასიამოვნო ოცნებით ვიყავ გატაცებული (ვაი და ვაი ჩემს იმედებს!), გაზეთებმა ტვინის გადამბრუნებელი და ძარღვების ამშლელი სამწუხარო ამბები მოიტანა:

ამერიკამაც მახვილი შეიბა და საომრად გამოსვლა დააპირა... ვილსონის ხელში ზეთის ხილის ტოტის მაგიერ თოფი და ყუმბარა დავინახეთ. სწორედ ისე, როგორც ინგლისმა, ამერიკამაც თვისი სამშვიდობოდ წინ გადადგმული ნაბიჯი ახლა უკან უნდა გადმოდგას.

ნახევარი საუკუნის წინეთ დაგმობილი სამხედრო ბეგარა დღეს ისევ უნდა განახლდეს თავისუფალ, დეცენტრალურ და უაღრეს დემოკრატიულ ამერიკაში. და ასე მთელი ცას-ქვეშეთის ახალგაზრდობა სამხედრო დროშათა ქვეშ უნდა დადგეს, და ერთმანეთს უნდა შეაწყდენ საიმედო მომავალი თაობანი. ამის შემხედვარე ვეკითხები ჩემს თავს: „კაცია ადამიანი“?! მაგრამ, მკითხველო, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი: ყოველს უბედურებას ბოლო აქვს. ჭეშმარიტება ადრე თუ გვიან, თავისას გაიტანს: თუ არა მოკვდეს, არა სცხონდესო, ბრძანა მაცხოვარმა. ძველი ევროპაც მოკვდება და, სისხლის ემბაზში განათლებული, ახალი ცხოვრებისათვის

თავისი ცხოვრების უარისმყოფელ ქართველ ერს ყველა სასაცილოდ აიგდებს. ეს ასე მოხდება იმიტომ, რომ რუსეთში ყველა არა რუსი ერი ითხოვს თავის შინათ მყოფელობას. დამფუძნებელი კრება კითხვას გადასჭრის. ვინც თავგამოდებით იცავს თავის თავს სურვილს შეისრულებს. მხოლოდ ქართველი ერი დარჩება განსაკუთრებულ პოზიციაზე. რევოლუცია ამბობს:

დაიგმოს ყოველ გვარი უსამართლობა, ყველა მონობაში მყოფი განთავისუფლდეს. ყველას მიენიჭოს თავისუფალი ცხოვრების უფლება, საკუთარი სასამართლო, სკოლა და ეკლესია. ამ სიტყვებს აღფრთოვანებულად ეგებებიან რუსეთის ერები. ისინი უკვე ნიადაგს უმზადებენ თავისი წმინდა მისწრაფების განხორციელებას.

ქართველი ერი ხარობს გარეშე დამონებულ ერთა თავისუფლების მოპოვებით. ქართველი ერი სალამს უძღვნის ტარას შევჩენკოს განთავისუფლებულ სამშობლოს ამ დროს გულსაკლავი ის არის, რომ ქართველი ხალხი არ ესარჩლება საკუთარ ქვეყნის თავისუფლებას, საკუთარ თავზე არ ფიქრობს. ცხოვრება აფორიაქებულია, იგი ცვალებადობას განიცდის. ვინ იცის, რას გვიქადის ხვალინდელი დღე? ამას არ უნდა ჩაუფიქრდეთ?

დღევანდელზე უფრო ძვირფასი მომენტი ძნელი წარმოსადგენია, რომ კიდევ ოდესმე დაგვიდგეს.

დღეს თუ არ აღვადგინეთ ჩვენი ცხოვრების უფლებანი, მაშინ დიდი ხნით ისევ მონობაში დავრჩებით და შთამომავლობის წინაშე შეჩვენებას დავიმსახურებთ „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდეს“ ილიამ იმიტომ სთქვა, რომ შორს მჭვრეტელი ქართველი ნათლად ხედავდა ქართულ ცხოვრების ბორბლის უკუღმა ტრიალებას. ილიამ საქართველოს შვილთ მე-19 საუკუნეში ამცნო საფრთხე და გონს მოსასვლელად მოუწოდა. დღეს მე-20 საუკუნეში ვართ. დრო ისეთი დაგვიდგა, რომ ქვეყნის ხსნა შეგვიძლია, მაგრამ სამარცხვინოდ ვჯიუტობთ. სანამდი გვინდა ისეთი სამარცხვინო ყოფა? დღეს, რომ ილია ყოფილიყო. ის უთუოდ გვეტყოდა.

„გონს მოდი, ადამიანურ ცხოვრებას მიეცი თავი, შენი თავი იცან და თუ ეს არ შეგიძლიან გაეხვიე სუდარაში და დედამიწის პირიდან აიბარგე“..

ჩაუფიქრდეთ ასეთ ყოფას... შევსძლოთ სულის სიცალიერის გაფანტვა...

ი. იმერელი.

რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების სხდომა.

პეტროგრადი. 3. მაისი. 2 მაისს საღამოს შესდგა კრება მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატებისა. სკობელევმა განაცხადა, აღმასრულებელი კომიტეტი დროებით მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებსო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ძირითად დებულებებში უკვე მოხდა შეთანხმება. შესახებ ამისა უკვე მზადდება დეკლარაცია. საჭირო ხდება წვრილმანებში შეთანხმება. ამისდა მიხედვით სკობელევი წინადადებას იძლევა კრება დახურონ და ხვალისათვის შეიკრიბონ, ვინაიდგან ხვალინდელს კრებას დაესწრებიან ფრონტის დელეგატებიც. სკობელევის აზრს არ ეთანხმებიან და კრება გრძელდება. მეზღვაურ ოფიცერთა ოდესის ნავთსადგურის კავშირის სახელით ლაპარაკობს შავი-ზღვის ოფიცერი ნოსოვი. ნოსოვი ეკითხება დამსწრეთ, თუ რა მიზეზით. არ შეფიცა ახალ მთავრობას პეტროგრადის გარნიზონმა მაშინ როდესაც ხსენებული მთავრობა ხალხის სურვილით არის არჩეული. ორი მთავრობის არსებობა, რაც ხელს უშლის დროებითი მთავრობის მუშაობას სასურველად არ უნდა მივიჩნიოთ. აგრეთვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება რომ რუსეთში იმყოფება 30,000 ჯაშუში გერმანელი რომლებიც თავისუფლების საქმეს დიდ ვნებას აყენებენ. ნოსოვს უპასუხებს სტეკლოვი: პეტროგრადის გარნიზონს არ შეეძლო შეეფიცა ახალი მთავრობისათვის რადგან ტექსტი ფიცისა მიუღებელი აღმოჩნდა. ხტეკლოვი აცხადებს აგრეთვე, ორი მთავრობა არ არსებობსო, რაც შეეხება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს იგი ნდობის თვალით უყურებს დროებით მთავრობას. კრების თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრებაზე დასასწრებლად შავი ზღვის ფლოტის 165 დელეგატი უკვე მოვიდა. კრება ტაშისცემით ეგებება შავიზღვის ფლოტი დელეგატებს. სიტყვას ამბობს შავიზღვის ფლოტის ერთი დელეგატთაგანი ბატკინი. იგი აღნიშნავს, რომ შავი ზღვის ფლოტის დელეგატთა მიზანია მოგიწოდოთ თქვენ ერთობისაკენ. საჭიროა აგრეთვე საერთო ხმით მოთხოვნილი იქნას სეპარატიული ზავი აუცილებელია აგრეთვე ჯარში დისციპლინის განმტკიცება. მატროსთა კავშირმა, ჯარის კაცებმა, ოფიცრებმა და მუშებმა უნდა იხსნან ახალგაზრდა რუსეთი. ჩვენ მატროსები შმიდტისა და მატჩენკოს მემკვიდრენი წმინდათ ვინახავთ მათ აღთქმას რევოლუციის წინაშე. ჩვენ არავის მივცემთ ნებას, დაასამაროს რუსეთის თავისუფლება. ბატკინი კრიტიკას უკეთებს ბოლშევიკების მოქმედებას და და მოუწოდებს ყველას მჭიდრო შეკავშირებისაკენ.

დასასრულ ფეხზე ადგომით პატივი სცეს შმიდტისა, მატჩენკოსა და ყველა თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირებს.

ეკატერინე მეორის სურათის დახევა.

კამიშინი. 3 მაისი. ოდესის გარნიზონის დელეგატებმა, რომლებიც აქ ჩამოვიდენ დახიეს ეკატერინე მეორეს სურათი ღირებული რამდენიმე ათიათას მანეთად.

რბევა.

სემიონოვი. 3 მაისი. სურსათის გამოლევამ ქალაქში რბევა გამოიწვია. აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს სხვა და სხვა საშუალებას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დონის როსტოვი. 3 მაისი. დონის როსტოვის სარკინიგზო სამმართველოს მოსდის მრავალი აღმაშფოთებელი დეპეშა ვლადიკავკავის გზაზე ჯარისკაცთა მიერ ჩადენილ უწესოებათა შესახებ. ჯარისკაცები ერევიან რკინის გზის საქმეებში. რკინის გზის აგენტს სიკვდილით ემუქრებიან. აგენტი აცნობებს მთავარ სამმართველოს რომ იგი დღეიდან ხელს იღებს თანამდებობაზე, რადგან ასეთ პირობებში მუშაობა ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია. ასეთსავე აღშფოთებას გამოსთქვამენ, რკინის-გზის სხვა აგენტებიც, დაატუსაღეს სადგურის უფროსი, სხვებსაც ემუქრებიან, ჯარისკაცთა მთვრალმა ბრბომ პორუჩიკის ხელმძღვანელობით მოახდინა უწესოება. მხეცურის ყიჟინით მიესივნენ რკინის გზის მოსამსახურეებს. მიმართეს აგრეთვე მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს, რათა ბოლო მოუღონ ჯარის კაცთა ამგვარ თავხედობას.

ურუმე 3 მაისი. ბრბომ არეულობა მოახდინა. არეულობაში მონაწილეობა მიიღეს შინ დაბრუნებულმა ჯარისკაცებმაც დაატუსაღეს მაზრის კომისარი, გამოჩენილი მოქალაქენი, და ყოფილი პოლიციელები. საქმის გამოძიება სწარმოებს საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტში.

შიმშილობა.

პეტროგრადი. 4 მაისი. ფერგანის საოლქო ყრილობაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭომ სამიწადმოქმედო მინისტრს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა მინისტრს თურქესტანის კომისარს დეპეში გაუგზავნა, სადაც აღნიშნულია ფერგანის ოლქის მცხოვრებთა აუტანელი მდგომარეობა შიმშილობის გამო, შიმშილობით გამოწვეული არეულობის ნიშნები ხსენებულს ოლქში უკვე არისო.

შეთანხმება.

პეტროგრადი. 3 მაისი. მოხდა შეთანხმება დროებითი მთავრობისა და მუშათა ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტს შორის, სოციალისტების მხრით სამინისტროში ადგილს დაიჭერს 3 კაცი.

ძარცვა გლეჯა.

რიბინსკი. 3 მაისი. რევოლვერებით შეიარაღებული უცნობები შეცვივდენ ერშევსკოვის სავაჭროში და მოსამსახურეთ მიაძახეს „ხელები ზევით“. სავაჭროს მსახურნი შეშინდენ. გასტეხეს ფულის კასა და წაიღეს 1,100 მან. მძარცველებს სროლით დაედევნენ, მაგრამ მიმალვა მოასწრეს. ერთი მათგანი დაიჭირეს.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა კომიტეტების მოწოდება.

პეტროგრადი. 3 მაისი. მუშათა და ჯარის კაცთა აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა სრულიად რუსეთის გლეხობას, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს დროებით მთავრობას ომის საჭიროებათათვის საჭირო მასალის მიწოდებით.

თავისუფლების სესხი.

მოსკოვი. 3 მაისი. 6 აპრილიდან 1 მაისამდი მოსკოვის ახლო მახლო მდებარე ადგილების მცხოვრებთაგან თავისუფალ სესხზე ხელი მოაწერეს 762,556200 მანათამდი...

სრულიად რუსეთის შაქრის მწარმოებელთა საზოგადოებამ გადასწყვიტა შაქრის ქარხნების მეპატრონეთა ძირითადი თანხის 25 პროცენტი მიაწოდოს თავისუფალ სესხის სახით ახალს მთავრობას.

სესხი.

ვაშინგტონი. 4 მაისი 3 მაისს ამერიკის მთავრობამ გადასდო სესხად რუსეთისათვის 100 მილიონი დოლარი.

მსოფლიო ომი

(პ. დ. ს.)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 3 მაისი. ოფიციალი. ღამის განმავლობაში გრძელდებოდა საარტილერიო ბრძოლა.

გაცხელებულ საარტილერიო მოქმედების შემდეგ ლაფოფის მიდამოებში მტერმა ჩვენს წინააღმდეგ იერიში მოიტანა ჩვენი თხრილების 4 კილომეტრის სიგრძეზე. მიუხედავათ მტრის ძლიერებისა ჩვენ იგი მოვიგერიეთ. ბრძოლა გრძელდება აგრეთვე ასპარეზის სხვადასხვა ადგილებში.

ავაკურისა და ბერნკოფის მიდამოებში მტრის ცდამ, რომ მოულოდნელად თავს დაგვსხმოდენ, უნაყოფოდ ჩაიარა.

ჩვენი ერთი რაზმი შეიჭრა მტრის თხრილებში ალმოზასის მახლობლად და გაანადგურა მტრის სიმაგრეები. რაზმი უვნებლად დაბრუნდა. თან მოიყვანეს ტყვეებიც.

ლონდონი. 3 მაისი. ოფიციალი. გერმანელები განაგრძობენ ინტენსიურს მოქმედებას. ბიულიკურის მიდამოებში მტერი ჩვენს შევიწროებას ცდილობდა. ინდენბურგის ხაზით, რომელიც ჩვენ ხელთ არის გერმანელებმა ოთხჯერ სცადეს იერიშის მოტანა პირველი იერიში მოიტანეს დილის 4 საათზე. იერიში მიმართული იყო მარჯვენა ფრთისაკენ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა შესძლეს დაეკავებიათ ჩვენი თხრილები. ჩვენ კონტრიერიშები მივიტანეთ მტერზე. გერმანელები თხრილებში ამოვჟლიტეთ. დახოცილთა და დაჭრილთა რაოდენობა უდრის 250 კაცს. მეორე იერიში მოვიგერიეთ არტილერიის ცეცხლის შემწეობით. ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთაზე მტერმა მესამე იერიში მიიტანა ბიულკერის აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ ჩვენი თოფისა და არტილერიის შემწეობით მტერი გავაქციეთ.

მეოთხე იერიში მოიტანეს ცოტა უფრო გვიან ბიულკერის სამხრეთ-დასავლეთით. ბრძოლის დროს დაიკავეს ჩვენი თხრილები. ბრძოლის დროს მტერმა დიდი ზარალი ნახა მდ. სკარპის ნაპირებზე გერმანელებმა გააჩაღეს საარტილერიო სროლა.

პარიზი. 4 მაისი. ოფიციალი. მდ. სკარპის მარცხენა ნაპირზე მტერმა ძლიერი ძალების საშუალებით ჩვენზე კონტრ იერიშები მოიტანა. ჩვენ არტილერიისა და ტყვიის მტყორცნელთა საშუალებით ვცდილობდით მტრის გაფანტვას. მაგრამ გერმანელებმა სიმრავლით გვძლია და დაიკავა ჩვენი მოწინავე სადარაჯოები. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მოვახდინეთ კონტრ-იერიში და დავიბრუნეთ მტრის მიერ წართმეული ადგილები.

მტერი დავაზარალეთ. წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. ბიულკერის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. მდ. იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელების მოულოდნელი თავდასხმა შევაჩერეთ.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 4 მაისი. ოფიციალი. აღმოსავლეთისა და რუმინეთის ასპარეზზე კლიპასოვის სამხრეთ დასავლეთით უშნუეზე 35 ვერსის დაშორებით გავფანტეთ ოსმალთა მზვერავი რაზმები, რომელნიც სცდილობდენ ჩვენს პოზიციებს დაახლოებოდენ.

კაბრი უირენის აღმოსავლეთით 15 ვერსის დაცილებით ბეამოდის მიდამოებში ჩვენი მოსაზღვრე ჯარსა და ყაზახთა რაზმებს გარს შემოერტყენ ქურთები ბრძოლის დროს დავკარგეთ 15 კაცი. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება.

ლონდონი. 3 მაისი. ოფიციალი. გუშინ ჩამოვაგდეთ გერმანელების ორი ჰაეროპლანი. ბრძოლის დროს დავაზიანეთ აგრეთვე მტრის ორი თვითმფრინავი. ჩვენ დავკარგეთ ორი ჰაეროპლანი.

ახალი ამბავი

◆ **სამშაბათს,** 9 მაისს, საღამოს 5 საათზე გენერლის ქუჩაზე ქალაქის პირველ დაწყებით ქალთა სასწავლებელში დანიშნულია სახალხო მასწავლებელთა კავშირის ქ. ქუთაისის ფილიალური განყოფილების წევრთა კრება დელეგატების ასარჩევად, თბილისში 16 მაისს კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობაზე დასასწრებლად.

გელზენკირხენის საზოგადოების და კავკასიის მადნის ამხანაგობის ლიკვიდაცია. მკითხველს ეცოდინება, რომ გერმანელების ამ საზოგადოებათა ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა გამგეობას, რომელიც მთავრობის მოხელეებისაგან შესდგებოდა. ახლა ჩვენ პეტროგრადიდან მოგვივიდა ცნობა, რომ ეს გამგეობა გაუქმებულა და ლიკვიდაციის საქმე მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში გადასულა.

◆ „თავისუფლების სესხი.“ 5 მაისს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოახდინა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქუთაისის მოქალაქეებმა თავისუფლების სესხის საქმეში. ბ-ნმა ჩიქოვანმა [illegible] განმარტა ხსენებული სესხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. სესხზე ხელის მოწერის სურვილი ყველამ განაცხადა, სხვათა შორის ქუთაისის ვაჭრებმა ნახევარ მილიონზე მოაწერეს ხელი, სააღგილმამულო ბანკმა ორას ორმოცდა ათას მანეთზე.

ოქმი ნიხრ ზევით გაჭრობის გამო. ცენტრალ უბნის კომისარმა ავალიანმა მანუფაქტურით მოვაჭრე გუგულიშვილს ოქმი შეუდგინა, რადგან ამ უკანასკნელმა ფირმა „ცინდელი“-ს მატერია დადებულ ნიხრს ზევით გაჰყიდა. ოქმი ქუთაისის კომისარიატს გადაეცა.

◆ სურსათი. 4 მაისს აღმასრულებელ კომიტეტის სასურსათო განყოფილებამ მიიღო 3 ვაგონი სხვა და სხვა სანოვაგე.

— ექიმთა პროფესიონალური კავშირი ამ დღეებში შესდგა პროფესიონალური კავშირი ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის ექიმებისაგან თავმჯდომარედ ამოირჩიეს ექ. ნაზაროვი, მდივნად ექ. ჩარექოვი, კომიტეტის წევრებად: ბადრიძე, ვ. წერეთელი გოკიელი, ჩარექოვი ჩხენკელი, რელიგიონი და ვალ. ლორთქიფანიძე.

◆ ბ-ნმა გრ. ურატაძემ. აღმას. კომიტეტთან წინადადება შეიტანა, რომ ქალაქში შეპყრობილ იქმნას ყველა ის არა კეთილ საიმედო პიროვნები, რომელნის რევოლუციას ვნებენ.

— ბ-ნმა გრ. გველესიანმა აღმასრულებელ კომიტეტში შეიტანა სოც.-ფედერალისტთა პარტიის საჩივარი. აღმასრულებელმა კომიტეტმა ხსენებულ საჩივრის განხილვა ახლობელ სხდომისთვის გადასდო

— ბ-ნმა ილია ჩიქოვანმა კითხვა წამოაყენა, მიეცეს სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიას სეირნობის და ლოტარეიების საქველმოქმედო მიზნით მოწყობის უფლება ეს კითხვა აღმასრულებელმა კომიტეტმა პრინციპიალად მიიღო

◆ **ღვინის გაყიდვის აკრძალვა.** ქუთ. აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან შეთანხმებით სასტიკად აკრძალა ქუთაისში ღვინისა და სხვა მაგარ სასმელების ვაჭრობა. ის სასადილოები, რომელნიც ღვინოს ჰყიდიან საჩქაროდ დაკეტილ უნდა იქმნას და პატრონი ომის გათავებამდე დატუსაღებული. ამ საქმის სასურველად მოსაწყობად აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს სასადილოების და სამიკიტნოების პატრონებს, იყოლიონ 6 კაცისგან შემდგარი სამეთვალყურო კომისია, რომელიც დაიკავს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებას.

◆ **ლეჩხუმის** არჩევნების არ დამტკიცება აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, დაამტკიცოს ცაგერის არჩევნები, რომელიც არა ფარულის ხმის მიცემით მოხდა. აღმასრულებელმა კომიტეტმა არჩევნები არ დაამტკიცა.

◆ ქუთ. ვიცე გუბერნატორად ყოფილი მაკაროვი სთხოვს აღმასრულებელ კომიტეტს გაათავისუფლოს იგი დღიურ ზედამხედველობისგან და მისი საქმე გადასცეს თბილისის გამომძიებელ კომისიას. მაკაროვის თხოვნა აღმასრულებელმა კომიტეტმა იურიდიულ კომისიას გადასცა.

კავკასიის ქრონიკა.

პროვოკაცია. ბაქოში საბუნჩის შტოზე დაიჭირეს მუშა პროვოკატორი—სომეხი, რომელიც მაჰმადიანთა წინააღმდეგ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდა ვითომდა ისინი შეიარაღებას აწარმოებენ. ასეთ პროვოკატორულ მოქმედების გამო მუსულმანებმა დეპეშით აცნობეს მაჰმადიანთა ყრილობაზე პეტროგრადში მყოფ თოფჩიბაშევს, და ამიერ კავკასიის კომიტეტს თბილისში.

◆ **აზრუმის ამბები.** აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით 15 აპრილს საღამოს ხუთი საათიდან გამოწვეულ იქმნა მთელი გარნიზონი და მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება. აპატიმრებდენ მუსულმანებს, განურჩევლად წლოვანებისა. ჩხრეკამ 17 აპრილამდე გასტანა. დატუსაღებულია 1500 კაცამდე. ბევრი უკვე რუსეთისაკენ გაგზავნეს. მათმა დატუსაღებამ დიდათ შეაფერხა მუშაობის საქმე, როგორც რკინის აგრეთვე სამხედრო გზებზე. ეს ერთი კვირაა აზრუმში ძლიერ აცივდა, ყოველდღე სეტყვა მოდის.

ფეხს აიდგამს. მაშინ გამოაშკარავდება უვარგისობა ყალბი დებულებისა, რომელმაც დააგუბა სისხლის ზღვები, რომელშიაც ამ ჟამად ევროპა იხრჩობა.

Si vis pacet, para bellum-ის პრინციპი უნდა დაიგმოს და პოლიტიკაში უნდა გამეფდეს, შეიარაღებული ძალმომრეობის მაგიერ, სამართლიანობა, ხრიკმეისტერი დიპლომატიის მაგიერ, —პატიოსნება, სვინიდისი და კეთილზნეობა-მორალი. აბა ახლა ჩვენ თვალწინ ხომ აშკარავდება ის ფაქტი, რომ, ვისაც უსამართლობით და ძალადობით რამე შეუძენია, ვისაც სხვისი წანაგლეჯით თვისი სამფლობელო გაუფართოვებია, დღეს ხელიდან ეცლება: ყველა თავისას მოითხოვს, ყველა ეროვნება დაკარგულ უფლებას იბრუნებს, ყველას უნდა თვისი ისტორიული და ბუნებრივი ბუდე მონახოს და თითოეული მათგანის აუცილებელი სურვილია სხვებთან ძმური ურთიერთობა შეკრას და ფედერატიული კავშირი იქონიოს.

ასეთი ტენდენცია, ასეთი მიდრეკილება ერთა შორის დამოკიდებულება განწყობილებისა ახალი ჭეშმარიტება არაა. იგი ძველის ძველი სასურველი იყო ჩვენისთანა რიცხვით მცირე ერებისა, მაგრამ გაბატონებული ერების გულსა და გონებაში ამ ჭეშმარიტებამ ფეხი ვერ შესდგა და ვერა. მაგრამ სამართალმა პური სჭამა: დაიმხო და დანაწილდა ცენტრალიზმის მიმდევარი ასურობაბილონი,, დაიმხო და დაიბადა დიდი სპარსეთი, დაამხო და დაირღვა რომის იმპერია, ასე ემართებოდა და ემართება ყველა სახელმწიფოს და ჯგუფს რომელიც ცენტრალიზმის სულითა სუნთქავს, რადგანაც მათი ლოღიკა არა ბუნებრივ საფუძველზეა ფეხმოდგმული და აშენებული.

ეს ჭეშმარიტება, თითქო შეიგნო განახლებული რუსეთის ახალმა დროებითმა მთავრობამ და თავის დეკლარაციაში (2) მუხლად გამოაცხადა „ხალხთა თავისუფლება“ Свобода народовъ.“ ამაზე უკეთესს მე და შენ, მკითხველო, რას გავიგონებდით ას ჩვიდმეტი წლის ტყვეობის შემდეგ!! და ვიცი, შენც ჩემსავით გაგეხარდებოდა, ცხადია, მაგრამ შენც ჩემსავით ყურებს ჩამოყრიდი, როცა შენი მეზობელი ტყვეობის მოზიარე შენს თავისუფლების სიხარულს არ იზიარებს და გეუბნება: რა დროს შენს თავისუფლებაზე ზრუნვის სამზადისია, ჯერ ცას-ქვეშეთზე ვიზრუნოთ, მერე ჩვენს ქვეყანაზეო, რა საკვირველია, გულზე გაგხეთქავს ასეთი ყოფაქცევა და უკუდო ხარის ბრძნულს ანდაზას ეტყვი, მაგრამ ქართული ანდაზით მეზობელს როგორ მოინადირებ.? ერთი მიბრძანეთ, შენი ჭირიმე, ვინაა, რომ შინ ბავშებს უშიოდეს და გარეთ კი საკურთხს გზავნიდეს!

ს. ყ—ნი.

ეროვნული კითხვა.

რუსეთის ეროვნებათა მოთხოვნილება.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თავ. ლვოვმა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება მისცა, შეადგინეთ ნუსხა იმ ეროვნულ ორგანიზაციებისა, რომელთაც დროებით მთავრობას ეროვნულ ინტერესების დაკმაყოფილება მოსთხოვა. ეს ნუსხა უკვე შედგენილია.

უკრაინელები თხოულობენ, რომ უკრაინული ენა შემოღებულ იქმნას ყველა სახელმწიფო და საზოგადო სამმართველოებში, რომ სწავლება იქ, სადაც უმეტესად უკრაინელები არიან, უკრაინულ ენაზე იყოს. მოითხოვენ უკრაინის ავტონომიას და თხოულობენ, რომ ხოლმის გუბერნია პოლონეთს არ შეუერთდეს.

ლატიშები საჭიროდ ჰსცნობენ ლატიშელთა ნაწილების გაერთიანებას ავტონომიურ ლატვიად.

ესტონელები. ესტონეთი ავტონომიას მოითხოვენ.

ლიტველები აუცილებელ საჭიროებად სცნობენ ავტონომიურ ლიტვას და ლიტველთა ჯარის დაარსებას.

ბელორუსები მოითხოვენ რუსეთის ფედერატიულად გარდაქმნას. ესეთ რესპუბლიკის ერთ-ერთ შტატად ბელორუსია უნდა იყოს.

ქართველები მოითხოვენ საქართველოს ნაციონალ-ტერიტორიალ ავტონომიას, სკოლის ნაციონალიზაციას და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას.

მაჰმადიანნი თავისს საჭიროებად აღიარებენ თავისუფალ ნაციონალ სკოლის შექმნას, რომელიც ხაზინის და ერობის ხარჯით შეინახება და პროპორციონალ წარმომადგენლობით უფლების შემოღება დამფუძნებელ კრებაზე.

ებრაელები მოითხოვენ ხაზინის მიერ მათი სკოლების საკუთარ ხარჯებით შენახვას.

როდის გათავდება ომი!

ბერლინიდან ბუდაპეშტის გაზეთს ატყობინებენ რომ რეიხსტაგის დეპუტატმა ნაციონალ-ლიბერალების ლიდერმა შიფნერმა ამერიკის გამოსვლის გამო, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: მე მაინცა და მაინც არა მწამს, ვითომ რუსეთს სეპარატიული ზავის ჩამოგდების სურვილი ჰქონდა. უფრო მოსალოდნელია, რომ, ადრე თუ გვიან, რუსეთი განუცხადებს მოკავშირეებს რომ მას აღარ შესწევს მეტი ძალი საბრძოლველად და ამიტომ იძულებულია ზავი ჩამოაგდოს. მაშინ საფრანგეთმა და იტალიამაც ძალაუნებურად უნდა გაათავონ ომი, ხოლო ინგლისისა და ამერიკისათვის უაზრო იქნება მისი ომის გაგრძელება.

ინგლის-ამერიკის ბლოკადა უნაყოფოა თუ ცენტრალ სახელმწიფოებში რუსეთიდან სურსათ-სანოვაგე და საფრანგეთიდან საჭირო ნედლი მასალა შემოიზიდება. ჩვენ კი შეგვიძლია ინგლისი შიმშილობით ზავზე დავიყოლიოთ.

რუსეთის შინაგანი მდგომარეობა ნებას არ იძლევა გაჭიანურებული ომისას. ამნაირათ ომი ამწელიწადში დაბოლოვდება და ამერიკის ჩარევა სრულიად არ შეუშლის ხელს მის გათავებას. ვილსონმა სცადა გერმანეთის ერი და დინასტია მტრულად გადაეკიდებია ერთი მეორესთვის, მაგრამ ის მოტყუვდა ანგარიშში დღევანდელი ომი არის სახალხო ომი: რეიხსტაგიც და ხალხიც აღფრთოვანებული მანიფესტაციებით დაადასტურებენ, რომ ერი და დინასტია განუყრელათ მიდიან ერის უწმინდეს უფლებათა დაცვის გზით. მხოლოდ გამარჯვებით დაგვირგვინებული ომი მოუტანს ერს სასურველ რეფორმებს.“

სამხედრო ბეგარა და ავადმყოფობათა აღნუსხვა.

მთავარ სამხედრო-სანიტარულ მმართველობისამ სამეცნიერო კომიტეტმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მიერ შემუშავებული ავადმყოფობათა აღნუსხვის პროექტი გადასინჯა და სრულიად უცვლელად მიიღო. გადაათვალიერა ხსენებული პროექტი ექიმთა საბჭომაც. ეს ავადმყოფობათა აღნუსხვა შესწორებაა ძველად შედგენილ ავადმყოფობათა სიისა, რომელშიდაც ცვლილება შეიტანეს, განათავისუფლონ რუსეთის ჯარი უვარგის ჯარისკაცთაგან, რომელთაც არ შეუძლიანთ სამსახურის ასრულება. ახალმა პროექტმა შესაძლოთ სცნო, ის პირები, რომელნიც დღემდის მეორე ხარისხის სათადარიგო ჯარის კაცებათ ირიცხებოდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად განათავისუფლონ. ამასთანავე ის პირები, რომელნიც ავადმყოფობისაგან გამოწვეული თუ პროფესიონალური მოწამვლით შეპყრობილნი არიან კუჭის ტკივილით უნდა განთავისუფლებულ იქნან. პირნი შეპყრობილნი „ზოლოტუხით“, სიმსივნით, სიდამპლით, ლიმფატიურ ჯირკვლების დაშლით ქრონიკული ქარებით, სახსრების ანთებით, ძვლების, ხერხემლებისა და ძარღვების ქრონიკული დაზიანებით, თავისუფლდებიან სამსახურისაგან. აგრეთვე თუ ვისმე დაზიანებული აქვსთ თავის ძვალი განთავისუფლებულნი იქნებიან. უმთავრესი ავადმყოფობანი ჩამოთვლილნი არიან 29 38 მუხ. პირნი, რომელთაც სიმსივნის ან ენის ორგანიული ნაკლი აქვთ, ან აკლიათ 10 კბილი ერთს ყბის გვერდზე და 14 კბილი ორივე მხრიდან თავისუფლდებიან სამხედრო ბეგარისაგან. აგრეთვე ვისაც აკლიათ მარჯვენა ხელზე ცერი და ორი თითი, რომელიმე ხელზე ან ფეხზე. სამხ. სამსახურიდან თავისუფლდებიან.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.

1 მაისს შესდგა არაჩვეულებრივი შეერთებული კრება მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრებისა. კრებას თავმჯდომარეობდა ჯ. კ. გოლდმანი. თავმჯდომარე მოახსენებს კრებას, რომ არა ჩვეულებრივი კრების მოწვევის მიზეზია შაბათს მომხდარი უწესრიგობა, რომლის შესახებ ამ შეერთებულმა კრებამ უნდა გამოთქვას თავის აზრი. აგრეთვე არის კიდევ კითხვები. მაგ. დეზერტირები, თავდაცვის საქმეზე მომუშავეთ ჩაწერილები, მილიციის შედგენა, და დამოკიდებულება ს.-ფედერალისტებთან.

მილიციის შესახებ მოხსენებას აკეთებს **შრაპ. სტარცევი**. შეეხო ქუთაისში მილიციის შედგენის ისტორიას და აღნიშნა მისი დაუყონებლივ მოწესრიგების საჭიროება.

გრ. ურატაძე აცხადებს, რომ ეს კითხვა გადასაჭრელათ გადატანილი იყო ფრონტის სიეზდზე, მაგრამ იქ იმდენათ პატარა კითხვათ გამოჩნდა, რომ ჩვენ დაგვიბრუნეს გადასაჭრელათ საჭიროა საჩქაროთ მისი გადაჭრა, რომ გუბერნია, რომელიც მიტოვებულია უმცველოთ, სადაც ყაჩაღები თარეშობენ, დღეიდან მაინც ასე თუ ისე უზრუნველყოფილი იქნეს!

კრებამ დაადგინა მიენდოს ადგილობრივ კომიტეტებს შეადგინოს მილიცია ისეთი პირებისაგან, ვისაც სალდათობა არ ეხება და თუ ასეთები საკმარისი არ იქნება მიიწვიონ ე. წ. „ევაკუიროვანაი კამანდიდან“

დეზერტირების შესახებ მოხსენებას აკეთებს პრაპ. გეგელაშვილი. ის ამბობს, რომ წინეთ სახელმწიფოს სათავეში სამშობლოს გამყიდველები იყვნენ. ჯარისკაცმა არ იცოდა თუ რისთვის, ან ვისთვის ეღვარა სისხლი, მაშინ დეზერტითობა კიდევ შეიძლება გაემართლებია ვისმეს, მაგრამ დღეს რევოლუციური არმია იცავს თავისუფლებას. დღეს მან უკვე იცის, თუ რისთვის ღვრის სისხლს, ამიტომ დეზერტირობის გამართლება ყოვლად შეუძლებელია.

კრებამ ერთხმათ მიიღო გრ. ურატაძის რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, დეზერტირობა დღეს არის დიდი დანაშაული როგორც სინდისის, ისე რევოლიუციის წინააღმდეგ ამიტომ საჭიროა მასთან ბრძოლა. რეზოლიუციის ცხოვრებაში გატარება მიენდო მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს. პრაქტიკული მოქმედების შესახებ ითქვა შემდეგი: შექმნან განსაკუთრებული კომისია, რომელიც იმუშავებს სპეციალურად ამ საქმეზე დაბეჭდონ მოწოდება, რომ დეზერტირები გამოცხადდენ 15 მაისამდი, სოფლის კომიტეტების საშვალებით მოწვეულ იქნას სასოფლო ყრილობები, რომელსაც დაესწრება, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელი.

ვინც თავდაცვისთვის მომუშავე ქარხნებშია ჩაწერილი და ნამდვილათ კი იქ არ მუშაობს, ასეთი პირებს კრება სთვლის დეზერტირებათ. კრებამ დაავალა მუშათა და ჯარის კაცთა აღმასრულებელ კომიტეტებს, შეადგინონ მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს წევრებიდან სპეციალური კომისია, რომელიც დაუყონებლივ რევიზიას გაუკეთებს იმ დაწესებულებას, რომლებიც თავდაცვისთვის მუშაობენ.

ს. ფედერალისტების შესახებ ლაპარაკობს **იგ. გობეჩია** ის კიცხავს შაბათს მომხდარ ინციდენტს და ვრცლად ეხება მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს მოვალეობას და ამბობს, რომ ყოველი მუშა თუ ჯარის კაცი აქედან უნდა მოელოდეს გარკვეულ პასუხს რაიმე მოვლენის წინააღმდეგ გამოსვლისთვის და არა თავის ნებით თითო-ოროლათ. მოქმედებდეს. ჩვენ გვაქვს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო, აი რევოლუციის დარაჯნი და თუ ვინმე კონტრ-რევოლუციის სასარგებლოთ მოქმედებს და საფრთხეს უმზადებს რევოლუციას, ამის შესახებ განკარგულებას უნდა მოველოდეთ აი ამ საბჭოებიდან. ამხანაგებო, არ არის მართალი, ვინც ამბობს თითქოს პროვოკატორები არ იყვნენ ისინი ბევრი არიან და ძალიან ენერგიულათაც მოქმედებენ. რაც შეეხება ს. ფედერალისტებს ისინი არ არიან კონტრ-რევოვოლუციონერები და მათ წინააღმდეგ ასეთი გამოსვლები შეუწყნარებელია. იყავით წინდახედულათ და ნუ ჩაიდენთ ისეთ რამეს, რაც არ შეფერის რევოლუციონურ ჯარს.

გრ ურატაძე აცხადებს: ამხანაგებო, მე, როგორც ს.-დემოკრატი ს.-დემოკრატების სახელით და აგრეთვე როგორც წარმომადგენელი მუშათა საბჭოსი, ვაცხადებ, რომ ს.-ფედერალისტები არ არიან კონტრ-რევოლუციონერები. რომ ისინი ასეთები იყვნენ, ჩვენ პირველი წავიდოდით მათ წინააღმდეგ. ამხანაგებო, ჩვენ გთხოვთ და გიწვევთ არ განმეორდეს ის, რასაც ადგილი ქონდა ამ ორი დღის წინათ. ყოველივე ისეთი გამოსვლა სამუდამო ჩირქსა სცხებს თქვენს მუნდირს და ეს აღარ უნდა გამეორდეს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ქუთაისში არ არის ისეთი პარტიები, რომლებიც მოითხოვდეს რუსეთიდან გამოყოფას. და აგრეთვე ს.-ფედერალისტები არ არიან ძველი მთავრობის მომხრენი. ისინი ასეთივე ფედერალისტები არიან, როგორიც არიან უკრაინელი ფედერალისტები. კამათში ბევრმა ჯარის კაცმა, როგორც რუსებმა ისე ქართველებმა მიიღეს მონაწილეობა. კამათის შემდეგ კრებამ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: შაბათს მომხთარ ამბებს კრება აღიარებს შეუწყნარებელ მოვლენათ და სთვლის პროვოკაციის შედეგათ. კრება დარწმუნებულია ასეთი რამ აწი აღარ განმეორდება.

დასასრულ თავმჯდომარე აცნობს კრებას, რომ შექმნილ მდგომარეობის გამო მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შეადგინა ხუთი პირისგან დროებით მომწესრიგებელი კომიტეტი: რომელიც უკვე შეუდგა თავის მოქმედებას: გამოსცა მოწოდებები, სადაც მოუწოდებს წესიერებისაკენ, როგორც ჯარს ისე ადგილობრივ მცხოვრებთ, დაატყვევა რამოდენიმე საეჭვო პირი და სხ. კრება დასრულდა ღამის 12 საათზე.

(ცნობა ამოღებულია მცირეოდენის შემოკლებით გაზ. „სოციალ-დემოკრატი“-დან)

ვანის სამღვდელოების კრება.

1 მაისს მოხდა ვანის სამღვდელოების კრება. კრებაზე აირჩიეს ხუთი კაცისაგან შემდგარი საოლქო საბჭო; გამოიტანეს რეზოლუციები: მხარი დაუჭირონ ახალ მოძრაობას თავისუფლების მოპოებაში, დაარსდეს სინიდისის სასამართლოები იმ სამღვდელო პირთათვის, რომლებიც თავის საქციელით ჩირქს სცხებენ; სამღვდელოებას; ნუ იქნება გაძევებული მრევლიდან მღვდელი ბრალის დაუსაბუთებლად, რადგან სოფელს ხანდა ხან ორი-სამი თავზე ხელაღებული პირი ხელმძღვანელობს და კერძო ინტერესით მოქმედებს; სასურველად სცვნეს, მიეცეს მღვდელს ყოველგვარი სამოქალაქო უფლება და სხვა და სხვა სამოქალაქო სამსახურში შესვლის ნება სამღვდელო ხარისხის აუხდელად. ყოველი ღონე მიიღოს მშობლიურ ეკლესიის თავისუფლებისა და ტერიტორიულ ავტოკეფალობის მოპოებისათვის; მოითხოვოს მოაცილონ ეკლესიას და მღვდელს საეკლესიო საბუთების წარმოება, რომელიც არ ეხება პირდაპირ ეკლესიის ინტერესს; დაარსდეს სოფლად საეკლესიო სამზრუნველოები ეკლესიის მსახურთა და სამრევლო წარმომადგენელთაგან. ამასთანავე გაეგზავნა სრულიად საქართველოს ეკ. კათალიკოსის მოსაყდრეს ლეონიდეს და ობერპროკურორს ლვოვს შემდეგი დეპეშები:

უდ. სამღვდელო ლეონიდეს:

ვანის სამღვდელოებამ, ზნეობრივად დაკმაყოფილებულმა იმ შემთხვევით, რომ ივერიის ეკლესიამ, რომელიც უმეტეს ერთი საუკუნისა ატარებდა მონობის და ქვრივობის უღელს, მოიპოვა ავტოკეფალობა, დაადგინა გულითადი ნდობა გამოუცხადოს თქვენს მეუფებას, როგორც მთელი მართლმადიდებელი საქართველოს სურვილთა და მისწრაფებათა მატარებელს და სთხოვოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც თქვენ თაოსნობთ, ყოველი ღონე იხმაროს, რათა დროებითმა მთავრობამ აღიაროს საქართველოს ტერიტორიული ავტოკეფალობა, როგორც ერთად ერთი ფორმა, რომელსაც ამართლებს ისტორია და მსოფლიო ეკლესიის კანონები და რომელსაც შეუძლია საბოლოოდ დაამშვიდოს ჩვენი აღშფოთებული სარწმუნოებრივი გრძნობა. ამასთანავე ჩვენ მოვითხოვთ, რომ ივერიის ეკლესიამ მიიღოს სრული კმაყოფილება იმ საეკლესიო მამულების მაგიერ, რომლებიც გადარიცხულ იქმნენ სახელმწიფოთ. ამავე აზრით ეგზავნება დეპეში სინოდის ობერპროკურორსაც.

კრების თავმჯდომარე მღ. **ს. მჭედლიძე**.

რუსეთი.

რა სთქვა მილიუკოვმა?

პ. მილიუკოვმა სთქვა: „ომის გათავება ყველას დიდათ სწადს, მაგრამ ამავდროს სახელმწიფოს ინტერესები არავის არ უნდა ავიწყდებოდესო. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ომის შესახებ დადგენილებას პ. მილიუკოვი ქვეყნისთვის მავნებლად სთვლის.

— **სიმშილობა.** რიაზანის გუბერნიაში ხალხი ქრონიკულ დამშევას განიცდის. ხორბალი სრულებით აღარ იშოვება. მცხოვრებლები დროებით მთავრობას შველას სთხოვენ.

— **გუჩკოვის ამხანაგებიც მიდიან.** ყოფილ სამხედრო მინისტრის გუჩკოვის ამხანაგები ღენ. ნოვიცკი და ფილატივი სამსახურს სტოვებენ.

— **გუჩკოვს** გადადგომის წინ უთქვამს. სახელმწიფოს მდგომარეობა მეტად სამძიმოა. დღეს პარტიული ვიწროობით ქვეყანას არა ეშველება რა. მე დარწმუნებული ვარ რომ მთავარი სარდალი ალექსეევი თანამდებობას არ დასტოვებს რადგან დღევანდელ მომენტში იგი მეტად საჭიროა.

— **ანარქისტები.** მოსკოვის ანარქისტებმა კრება გამართეს, რომელზეც დაადგინეს, გააფართოვონ თავის მოქმედება და ყოველ გუბერნიაში მოაწყონ პარტიული [illegible]

— **[illegible]** [illegible]ისიდან იტყობინებიან: 1 მაისს ნაშუადღევს 2 საათზე [illegible] ცეცხლი გამოჩნდა.

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. ქვირქელია.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 სათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუერი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.

რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.			
თფილისიდან	— დილის —	8 ს.	წ.
„	— საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	— დილით —	12 ს. 40	„
„	— ღამის —	1 ს.	„
ფოთიდან	— დილის —	10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს —	6 ს. 50	„
ხაშურიდან	— დილის —	9 ს. 24	„
ქ. ქუთაისიდან გადის.			
თფილისისაკენ	— დილის	11 ს.	„
„	— ღამის	—11 ს. 34	„
ბათომისაკენ	— საღამოს —	7 ს. 5	„
„	— დილის —	7 ს.	„
ფოთისაკენ	— დილით —	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	— დილის —	8 ს. 40	„
ხაშურისაკენ	— დილით —	5 ს. 20	„

ადამიანის სიცოცხლე [illegible] აძაბუნებულია

ათაშანგით (სიფილისი) რომელიც [illegible] განიკურნება გაუმჯობესებულ შეუცვლელი

პრეპარატით **იოდოსტარინით**:

პრეპარატი იოდოსტარინი სპეციალისტმა ექიმებმა საუკეთესო [illegible] სცნეს ათაშანგის მოსარჩენად სახლში.

მთელი კურსი ღირს 32 მან. ნახევარი კურსი—16 მან., მეოთხედი—9 მან. პრეპარატი ეგზავნებათ 5 მან. ბეს მიღებისთვის უნდა მიმართოთ მხოლოდ ამ მისამართით: Тифлисское отдѣленіе Парижской Фармацевтической Лабораторіи [illegible]рис—Меликовская ул. № 16

რუსეთის დიდი რევოლუციის სახსოვრად

ყოველ თავისუფალ მოქალაქის ბინაზე, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა უნდა მოიპოვებოდეს 11 ახალი მთავრობის სახალხო მინისტრების სურათები

1) მანეთად და 75 კაპ. გაგეგზავნებათ 11 მინისტრთაგან შემდგარი ჯგუფის სურათი დიდი ფორმატის 2) მ. 75 კაპ. 6 დიდი პორტრეტი: როძიანკოსი, ლვოვის, გუჩკოვისა, კერენსკის და ჩხეიძის—ამასთანავე რუსეთის რევოლიუციის დიდედის ბრეშკო ბრეშკოვსკაიას სურათი, 3) 5 მ. 50 კაპ. მიიღებთ ორ სენსაციურ წიგნს: ა) „გრიშკა რასპუტინი“. ბ) რომანოვთა სახლის საიდუმლოებანი. 4) სამარცხვინო გამჟღავნება, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი სურათები: 1) გრაფინა ალპატიესა ეხვევა რასპუტინს, 2) ქალბატონი კურლოვისა და რასპუტინი, 3) რასპუტინი უმაღლეს წრეების პატიოსან ქალებში, 4) რასპუტინის მოკვლა თ. იუსუპოვის სახლში და სხვ ფული უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით Издательство „Бюро Печати“ Москва, Тихвинскій пер., № 7 кв. 21—Д.

ვინც წინათვე სულ მთლად წიგნების ფას გამოგზავნის იგი გაგზავნის ხარჯს არ იხდის. ფასი შეიძლება გამოიგზავნოს მარკებითაც შეკვეთილი წერილით, უბეოთ არავის არ ეგზავნება ზემოხსენებული წიგნები და პორტრეტები იგზავნება ფას-დაკლებით და გზის ხარჯით ფირმაზე ვინც გამოგზავნის წინათვე 9 მან. 75 კაპ. ვინც 25 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს მას მიეცემა 30 პროცენტის დაკლებით. შეკვეთა და ფულის გაგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: Москва Бюро Печати Тихвинскій пер. № 7 кв. 21

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გიკიალოვის სახლი, ქუთაისში.